სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

02/07/2026

MES 8 26 0000844621

ბრძანება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული მომზადების პროგრამის "მატარებლის შემდგენელი" ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის 2026 წლის 1 ივლისის №828329 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების'' მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 26 მარტის №59/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცების წესის'' მე-2 მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების'' მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დარეგისტრირდეს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ელექტრონულ სისტემაში ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის (ს/კ: 402019917) პროფესიული მომზადების პროგრამა "მატარებლის შემდგენელი" **(დანართი).**

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

დანართი

პროგრამის კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის სახე**	**ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე**	**პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში**	**სწავლების ენა**	**მსმენელთა ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების ადგილი**
02625	მატარებლის შემდგენელი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	6	ქართული	40	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მ/რ მე-3 კვარტ. ნაკვეთი 01/10

დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 29 მაისის

ბრძანებით N125

.....

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: მატარებლის შემდგენელი
პროგრამის სახე: ■ პროფესიული მომზადება □ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: □ 2 □ 3 ■ 4 □ 5

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 6

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური 5 მაქსიმალური 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზნები: მოამზადოს მსმენელი სარკინიგზო ტრანსპორტზე მატარებლის შემდგენელის სპეციალისტად, რომელიც შეიძენს იმ უნარებს, რაც სჭირდება სადგურში მატარებლების სამანევრო მუშაობის უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზებას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. სამანევრო მუშაობის ძირითადი ცნებების აღწერა;
2. სამანევრო ოპერაციების აღწერა;
3. მატარებლის განფორმირების პროცესის აღწერა;
4. მატარებლის ფორმირების პროცესის აღწერა;
5. მისასვლელ ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება-გამოტანის პროცესის აღწერა;
6. სამანევრო მუშაობის მართვა.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

- **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:** „სარკინიგზო გადაზიდვები“
- **მოდულები:** სამანევრო მუშაობის ორგანიზება სადგურებში

პროგრამის მოკლე აღწერა: მატარებლის შემდგენელის პროფესიული მომზადების პროგრამა ითვალისწინებს კადრების მომზადებას დროის მოკლე პერიოდში. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს აღნიშნული მიმართულებით საჭირო უნარებისა და კომპეტენციების შეძენა/გაუმჯობესებას, რაც საჭიროა კვალიფიციური მატარებლის შემდგენელის მომზადებისთვის. წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობაა 6 კვირა და 120 საათი, ხოლო კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა შეადგენს 20 საათს. პროგრამაზე ჩარიცხულ მსმენელს დახვდება მატერიალური თუ საბიბლიოთეკო რესურსით სრულად აღჭურვილი სასწავლო დაწესებულება და პროგრამას შეასწავლიან მრავალწლიანი გამოცდილების კვალიფიციური განმახორციელებელი პირები. პროგრამაზე სწავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც ექნება სრული ზოგადი განათლება. პროგრამის წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს.

2.პროგრამის შინაარსი

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლოგარემო
1	• მანევრის ცნება და კლასიფიკაცია; • სამანევრო საშუალებები და მოწყობილობები; მანევრებში გამოსაყანებელი სასიგნალო ნიშნები და კავშირგაბმულობის საშუალებები; • მატარებლის „წინ წასვლის“ სიგნალი; • სამანევრო ოპერაციების შესრულებისას მატარებლის „უკან წასვლის“ სიგნალი; • სამანევრო ოპერაციების შესრულებისას მატარებლის „ნელი სვლის“ სიგნალი; • სამანევრო ოპერაციების შესრულებისას მატარებლის „გაჩერების“ სიგნალი; • მანევრების შესრულებისას • არაცენტრალიზებული ისრების გადაყვანა. • სამანევრო სამუშაობის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა.	1,2	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A;C
2	• მახარისხებელ პარკში ვაგონების დამუშავების ტექნოლოგია; • საშიში ტვირთით დატვირთული ვაგონების ნომრები; • მართვის ხელსაწყოების ჩვენებით ისრების სითავისუფლის დადგენას მოძრავი შემადგენლობისაგან; • მატარებლის განფორმირებისას მარშრუტის სწორად გამზადება	3,4	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა	A; C

	• უწესივრობის დროს ცენტრალიზებული ისრის სწორად გადაყვანა; • ვაგონების დანიშნულება მათზე გაკეთებული აღნიშვნის მიხედვით; • განფორმირების დროს ლიანდაგში გაჩერებული ვაგონების დამაგრების წესი; • სადგურის გამგზავნ პარკში ვაგონების დამუშავების ტექნოლოგია; • მატარებლის ფორმირების გეგმის • შესაბამისად გასაგზავნი მატარებლის მასისა და სიგრძის შედგენა; • სადგურში ფორმირების დროს ლიანდაგში გაჩერებული ვაგონების დამაგრება.					
3	• მისასვლელი ლიანდაგების მახასიათებლები; • მისასვლელ ლიანდაგში ვაგონების მიწოდება- გამოტანა; • მისასვლელ ლიანდაგში სამანევრო ოპერაციები; • მისასვლელ ლიანდაგში ვაგონთა დამაგრება; • სადგურში ვაგონების გადახსნის სამუშაოები; • სადგურში ვაგონების მიბმის ოპერაციები;	5,6	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
4	• მანევრების შესრულებისას ცენტრალიზებული და • არაცენტრალიზებული ისრების გადაყვანა; • მატარებლების ფორმირებისთვის მახარისხებელი პარკის ლიანდაგების სპეციალიზაცია;	6	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C
5	• ვაგონების დანიშნულების განსაზღვრა მათზე გაკეთებული აღნიშვნის მიხედვით;	6	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C

	• ვაგონების ახსნა-მიბმის სამუშაოების წარმოება; • დაცლა-დატვირთვის ფრონტებზე მიწოდებულ ვაგონებს დამაგრება; • დავალების შესაბამისად ოპტიმალურ სამუშაო გეგმის შედგენა;					
6	• სადგურში მისასვლელ ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება/ გამოტანის ინტერვალი; • სადგურის მისასვლელ ლიანდაგში ვაგონების მიწოდება გამოტანის ოპერაციები; • მისასვლელ ლიანდაგებში, მიწოდება- გამოტანის ინსტრუქციის შესაბამისად ვაგონების დამაგრება; • საერთო და არასაერთო სარგებლობის • ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება-გამოტანა.	6	20	ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	A; C

3.პროგრამის თავსებადობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, რომელსაც ეფუძნება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა „სარკინიგზო გადაზიდვები“	
მოდულის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი	სწავლის შედეგის დასახელება და რიგითი ნომერი
• სამანევრო მუშაობის ორგანიზება სადგურებში – 10.11.1.6	1. სამანევრო მუშაობის ძირითადი ცნებების აღწერა; 2. სამანევრო ოპერაციების აღწერა; 3. მატარებლის განფორმირების პროცესის აღწერა; 4. მატარებლის ფორმირების პროცესის აღწერა; 5. მისასვლელ ლიანდაგებში ვაგონების მიწოდება-გამოტანის პროცესის აღწერა; 6. სამანევრო მუშაობის მართვა.